საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლაშა თავართქილაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	20
წერის უნარი	14	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	0	5
ქულათა ჯამი	77	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ლაშა თავართქილაძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ლაშა თავართქილაძე არის პატიოსანი, ჰუმანური, კეთილსინდისიერი, გულწრფელი და თავმდაბალი პიროვნება. ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატი პირად კომფორტზე მაღლა აყენებს იმ მოქალაქეთა და საზოგადოებრივ საჭიროებებსა და ინტერესებს, რომელსაც ემსახურება. კოლეგის დახასიათებით, მას სრულად აქვს გაცნობიერებული საკუთარი პასუხისმგებლობა.

ლაშა თავართქილაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ლაშა თავართქილაძე პრინციპული, მტკიცე, შეუვალი და დამოუკიდებელი პიროვნებაა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ფავორიტიზმისა თუ წინასწარ შექმნილი განწყობებისგან. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. კოლეგების შეფასებით, კანდიდატი ნებისმიერი საკითხის განხილვისას არის ნეიტრალური, გადაწყვეტილების მიღებამდე ისმენს ორივე მხარის არგუმენტებს.

ლაშა თავართქილაძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კოლეგების შეფასებით, ლაშა თავართქილაძე თავაზიანი, გაწონასწორებული, ზომიერი, მომთმენი და კორექტული პიროვნებაა და შესწევს უნარი დინჯად, ზედმეტი აჩქარების გარეშე განიხილოს მის წინაშე წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი. ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით, კანდიდატი სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას იცავს ეთიკურ ნორმებს. იგი საზოგადოებაში გამოირჩევა მოსამართლის შესაბამისი ქცევებით, თავდაჭერილობითა და ღირსების შეგრძნებით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ლაშა თავართქილაძის მიმართ დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. ამასთან, კანდიდატი განაცხადში უთითებს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე იყო საჩივრის ავტორი (მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველო).

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კოლეგები ლაშა თავართქილაძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად და აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც სასამართლო აპარატსა და კოლეგებში, ასევე, ზოგადად, იურიდიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ლაშა თავართქილაძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ლაშა თავართქილაძემ ისაუბრა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით, კანდიდატმა მეტნაკლებად იმსჯელა შეზღუდვის კანონიერების საფუძვლებზე და განმარტა აბსოლუტურ და კვალიფიციურ პრივილეგიას შორის განსხვავებები, უხამსობა. კანდიდატს მიაჩნია, რომ ფარული ჩანაწერი შესაძლოა წარმოადგენდეს დასაშვებ მტკიცებულებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების განხილვისას. მაგალითისთვის, დაასახელა ოჯახური ძალადობის საქმეები, სადაც თავად როგორც მოსამართლე, დიდი ალბათობით დაუშვებდა ფარულ ჩანაწერს მტკიცებულებად, თუ სხვა მტკიცებულებით ვერ დადასტურდებოდა ძალადობის ფაქტი.

საყურადღებოა, რომ კანდიდატი არ იცნობს ბავშვის უფლებათა კოდექსს სათანადო დონეზე, კანდიდატის განმარტება რა სტანდარტით იხილავს ევროპული სასამართლო ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებულ საჩივრებს, არ იყო დამაკმაყოფილებელი. კანდიდატი კითხვებზე პასუხისას არ უთითებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი წერილობით ნაშრომებში სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ მართალია კანდიდატი ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, თუმცა აღნიშნულს სისტემატიური ხასიათი არ გააჩნია.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით, ადმინისტრაციულ დავებზე კანდიდატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთებულობის მხრივ სრულყოფილია და ხასიათდება დამაჯერებლობით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის თანახმად, კანდიდატი გადაწყვეტილებათა პროექტებზე მუშაობისას სწორად გამოხატავდა საკუთარ აზრს,

რომელსაც სიღრმისეულად ასაბუთებდა. აღსანიშნავია, რომ ლაშა თავართქილაძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა შეადგენს 100%-ს.

საჯარო მოსმენის დროს ლაშა თავართქილაძემ იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სამართლებრივ შეკითხვას კანდიდატმა უპასუხა, რიგ შემთხვევებში მისი მსჯელობა არ იყო დამაკმაყოფილებელი, მაგალითად, კანდიდატმა ვერ უპასუხა შეკითხვებს პირადი ცხოვრების უფლებასა და პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით.

წერის უნარი: ლაშა თავართქილაძემ წარმოადგინა ოთხი სამართლებრივი დოკუმენტი, კერძოდ, სასამართლო დადგენილებები და გადაწყვეტილებები. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ლაშა თავართქილაძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი და შაბლონური მსჯელობით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს კარგი და სტრუქტურირებული წერის მანერა, წერის პროცესში ავლენს მსჯელობის ლოგიკურად და ლაკონიურად გადმოცემის უნარს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ლაშა თავართქილაძე ფლობს გადაწყვეტილების წერის კულტურას და შესაბამის უნარ-ჩვევებს. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებების გარდა, კანდიდატს არ წარმოუდგენია სხვა სახის სამართლებრივი ნაშრომი (სტატია, მონოგრაფია), რაც მომცემდა შესაძლებლობას უკეთესად შემეფასებინა კანდიდატის წერის უნარი.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ლაშა თავართქილაძე საუბრისას არის ლოგიკური, თანმიმდევრული, მშვიდი და გაწონასწორებული. რეკომენდატორების თანახმად, კანდიდატს შეუძლია განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენა. საჯარო მოსმენის პროცესზე მან გამოავლინა გამართულად და მკაფიოდ მეტყველების უნარი. გასაუბრებისას კანდიდატი საუბრობდა მშვიდად, გაწონასწორებულად, თუმცა შეიმჩნეოდა, რომ იგი მეტად ღელავდა, რაც ხელს უშლიდა უკეთ წარმოეჩინა საკუთარი კომპეტენცია.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ლაშა თავართქილაძეს ახასიათებენ, როგორც პუნქტუალურ, ეთიკურ და დისციპლინირებულ პიროვნებას, რომელსაც აქვს ანალიტიკური, დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესული სიტუაციების მართვის უნარი. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სასამართლო

სხდომებს წარმართავს სათანადოდ, ხოლო მხარეების მიმართ იჩენს გულმოდგინებას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ლაშა თავართქილაძეს საანგარიშო პერიოდში (1029 დღე) დასრულებული აქვს 4325 საქმე, დღეში საშუალოდ 4.2 საქმემდე. ამასთან, კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 95.5%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 97.7%-ს აღწევს, რაც მიუთითებს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და დროის სწორად განაწილების უნარზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 15-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები სამართლიანი სასამართლოს უფლების, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ხანდაზმულობის ვადების, ადმინისტრაციული სამართალწარმოების აქტუალური საკითხების შესახებ და სხვ.

ლაშა თავართქილაძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის X ჯგუფის მსმენელი (2013წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 27-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ან სხვა სახის პროფესიულ აქტივობას.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 77 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 16 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 15 ქულა;
   2.3. წერის უნარი - 14 ქულა:
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;

2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;

2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4 ქულა;

2.7. პროფესიული აქტივობა - 0 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.01.2021